

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №18

ქ. თბილისი

25.04.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომეო გალდავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია მირესაშვილი - სასწავლო დეპარტამენტის უფროსი;

მაკა კაჭარავა - ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მარინა ზარქუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

გურამ ბოკუჩავა - ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი;

ზურაბ პაპასკირი - პროფესორი;

ვლადიმერ კირცხალია - პროფესორი;

ლია ახალაძე - ასოცირებული პროფესორი;

ბეჟან ხორავა - ასოცირებული პროფესორი;

კახა კვაშილავა - ასისტენტ-პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ავთანდილ თავხელიძე

გიორგი დალაქიშვილი

ერეკლე ასტახიშვილი

ლევან ჯიქია

გიორგი ქურდიანი

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:09 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 15 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მყარი სხეულების ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მყარი სხეულების ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მყარი სხეულების ფიზიკა
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკის დოქტორი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა უნდა შეფასებულიყო დადებითად, ისევე როგორც დაწესებულების განვითარება ამ პროგრამის დაწყების შემდგომ. დაწესებულებას გააჩნდა ყველა პირობა პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. პროგრამის ორიენტირს წარმოადგენდა გამოყენებითი კვლევები, რაშიც სტუდენტების ჩართულობა საჭირო და სასარგებლო საქმეს წარმოადგენდა. პროგრამის ირგვლივ არსებობდა რამოდენიმე რეკომენდაცია. პირველ რიგში აღნიშნული ეხებოდა არჩევითი კურსების დამატებას. რეკომენდაციას წარმოადგენდა, სავალდებულო კურსები “მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები 1 და 2” გამხდარიყო არჩევითი საგნები და გარდა ამისა დოქტორანტს მისცემოდა მეტი არჩევანის საშუალება არჩევით ბლოკში სხვა საგნების დამატებითაც. სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურა იყო მოძველებული და ძირითადად რუსულ ენაზე, ამიტომ სასურველი იქნებოდა მისი შეცვლა, განსაკუთრებით წიგნების განახლებული ვერსიების ინგლისურ ენაზე არსებობის პირობებში. დაწესებულების პრობლემას წარმოადგენდა ბიბლიოთეკის საკითხი, რადგან მართალია ზოგადად ის გაჯერებული იყო ლიტერატურით, თუმცა ლიტერატურა ნაკლებად მოიპოვებოდა კონკრეტულ მოცემული დარგისათვის. რეკომენდაციას წარმოადგენდა ასევე ფაკულტეტის, განსაკუთრებით ხარისხის სამსახურის ჩართულობის გაზრდა პროგრამის განვითარებაში. საჭირო იყო გაზრდილიყო ლაბორატორიული სამუშაოების რაოდენობა, რადგან პრაქტიკული კურსებისათვის აღნიშნული აუცილებლობას წარმოადგენდა, რაზეც დაწესებულება თანხმობას აცხადებდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ განვითარებისათვის რჩევების ნაწილში მნიშვნელოვანი იყო ღირებულებებში სამეცნიერო ეთიკის დამატება, რაც დოქტორანტებისათვის აუცილებელი იქნებოდა, ვინაიდან მაგალითისათვის “Copyright”-ის მოთხოვნების ცოდნა, რომელიც პლაგიატს ამოწმებდა, განსაკუთრებით საჭირო იყო სადოქტორო საფეხურზე. პროგრამის საუკეთესო პრაქტიკა მომდინარეობდა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტიდან, რომელიც სამაგალითო იყო დარგში. ინსტიტუტს გააჩნდა დიდი ტრადიცია და სასიამოვნო იყო მისი შენარჩუნების ტენდენცია.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა რჩებოდა თუ არა ინსტიტუტის ნაწილი კვლავაც სოხუმში.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ინსტიტუტი ამჟამად თბილისში მუშაობდა. ის გამოყენებითი ფიზიკის დარგში საუკეთესო ინსტიტუტი იყო და საუკეთესო პრაქტიკაც სწორედ ამაში მდგომარეობდა.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა შედიოდა თუ არა აღნიშნული ინსტიტუტი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გახსნილი იყო ინსტიტუტის მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებებს შორის არსებობდა თანამშრომლობის ხანგრძლივი ტრადიცია, ჯერ კიდევ იმ დროიდან როდესაც ინსტიტუტი ფუნქციონირებდა სოხუმში. მას შემდეგ რაც ის თბილისში გადავიდა ტენდენცია გაგრძელდა და იქ მომუშავე ლექტორებმაც საქმიანობა გააგრძელეს თბილისში. ამჟამად პროფესორის თვალსაზრისით არსებულ პრობლემას წარმოადგენდა ასაკი და საჭირო იყო ახალგაზრდა კადრების მომზადება რაშიც წვლილი სწორედ მოცემულ პროგრამას უნდა შეეტანა.

თავმჯდომარე დაინტერესდა საქმიანობდა თუ არა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ინსტიტუტშიც.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინსტიტუტს ძირითადად ჰყავდა მოწვეული პერსონალი.

წარმომადგენელმა ექსპერტთა რეკომენდაციის შესახებ, რომელიც არჩევითი საგნების დამატებას შეეხებოდა, განაცხადა, რომ რეკომენდაცია - დამატებულიყო არჩევითი კურსი "ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების მეთოდები" რთული გასათვალისწინებელი იქნებოდა, რადგან ასეთი საგანი არსებობდა მაგისტრატურის საფეხურზე და რომ არ მომხდარიყო გამეორება, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც პირველ სემესტრში დარჩებოდა საგანი - მონაცემთა ბაზების დამუშავების ტექნიკები 1, ხოლო მეორე სემესტრში დამატებოდა არჩევითი საგნები - მონაცემთა ბაზების დამუშავების ტექნიკები 2 და ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები, რაც სტუდენტებს მისცემდა საშუალებას სურვილისამებრ მეორე სემესტრში ორიდან ერთი საგანი აერჩიათ. ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულებას პრობლემები მართლაც ჰქონდა. თუმცა დარგში არსებობდა კიტელის სახელმძღვანელო, რომლის თარგმნაზეც კოლექტივი უკვე მუშაობდა. რაც შეეხებოდა ლაბორატორიული სამუშაოების გაზრდასთან არსებულ რეკომენდაციას, დამატებული იქნა თითო საათი. ღირებულებების ნაწილში დამატებულ იქნა ჩანაწერი პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ. ყველა რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა დაკმაყოფილებულ იქნა.

წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი იყო ცალკე იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნდა საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია და მიღწევები მსოფლიოს მასშტაბით. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მძიმე პირობების მიუხედავად 2011 წლიდან მოხდა საკმარისი ფართობის გამოყოფა და დამატებითი გრანტების დახმარებით მოხერხდა საქართველოს პირობებში შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა. სამეცნიერო-ტექნოლოგიური ბაზის მხრივ დოქტორანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ადაპტირებულნიყოფილიყვნენ პრაქტიკულ საქმიანობაში რაც მნიშვნელოვანი იყო მათი დასაქმებისათვის. გარდა ამისა უნივერსიტეტი დოქტორანტებს საშუალებას აძლევდა დასაქმებულიყვნენ უნივერსიტეტში, ზოგ შემთხვევაში კი დასაქმება ხდებოდა უშუალოდ დოქტორანტურის პერიოდშიც.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა რამდენი დოქტორანტი ჰყავდა პროგრამას და რამდენი დისერტაცია იქნა დაცული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას ჰყავდა 2 დოქტორანტი. დისერტაციები ჯერჯერობით დაცული არ იყო. ზოგადად პროგრამა განიცდიდა მსურველთა სიმცირეს.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა რა თემებზე მუშაობდნენ დოქტორანტები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუშაობა მიმდინარეობდა ორი თემის ირგვლივ: 1. ტრადიციული და თერმული დეფექტების გავლენა სილიციუმ-გერმანიუმის შენადნობების სტრუქტურასა და ფიზიკურ მექანიკურ თვისებებზე და 2. სხვადასხვა შედგენილობის იზოტოპურად მოდიფიცირებული ბორის კარბიდის მიღება და კვლევა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა იყო თუ არა ორივე დოქტორანტი სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტი მაგისტრატურაზე.

წარმომადგენელმა უპასუხა რომ მათ დასრულებული ჰქონდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა იყო თუ არა პროგრამაზე განაცხადები უშუალოდ სოხუმიდან.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განაცხადები სოხუმიდან არ იყო. სტუდენტების რაოდენობა ამ მიმართულებით იყო მცირე. მაგისტრატურის საფეხურზე შესული იყო განაცხადი 2-ჯერ, 2-2 სტუდენტის.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ფიზიკა წარმოადგენდა დარგს, სადაც საჭირო იყო დიდი რაოდენობითი ლაბორატორიული მუშაობა, შესაბამისად მომგებიანი იქნებოდა თუ სასწავლო კურსები იქნებოდა ნაკლები. ის დაინტერესდა რას ემსახურებოდა ვებ-ტექნოლოგიების სწავლება და რაში დაეხმარებოდა ეს დოქტორანტს. ასევე გაუგებარი იყო ლაბორატორიული მუშაობის არსის სწავლება სასწავლო კურსის ფარგლებში კვლევის პარალელურად.

ექსპერტმა, განმარტა, რომ ლექცია მიმდინარეობდა კვლევის პარალელურად, ლაბორატორიაში არსებული აპარატურის შესწავლის მიზნით. რეკომენდაცია მდგომარეობდა იმაში რომ შეტანილი ყოფილიყო რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული ელემენტი და გაზრდილიყო მუშაობა ცოდნის გამოყენების კუთხით.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა შეთავაზებულ ლაბორატორიულ კურსში როგორ მოხდებოდა დაწესებულებაში არსებული დანადგარების გამოყენება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს არ იყო კლასიკური ლაბორატორიული კურსები. მაგალითისათვის, თეორიულ კურსში შეიძლება გამოკითხულიყო რა გაიაზრა სტუდენტმა და როგორ ხსნიდა ამოცანებს, ხოლო ლაბორატორიულ კურსში განხილული იყო თუ რამდენად და როგორ შეასრულა მოცემული სამუშაო დანადგართან.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ჩატარებული მუშაობა ისედაც აისახებოდა სადოქტორო შრომაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შრომაში აისახებოდა თეორიული მუშაობაც. მონაცემთა დამუშავება გახლდათ საჭირო კურსი და ამას არ უარყოფდნენ, რაც შეეხებოდა ვებ დიზაინის დამატებას, როგორც იკვეთებოდა დაწესებულების მხრიდან ეს მოხდა არჩევითი საგნების რაოდენობის გასაზრდელად და არა რაიმე დარგობრივი ცოდნის გაზრდის მიზნით.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ინსტიტუტის ბაზა, როგორც ცნობილი იყო, წარმოადგენდა დახურულ სივრცეს. მან იკითხა, შეიძლებოდა თუ არა რომ აღნიშნულს პრობლემა შეექმნა დოქტორანტებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურაზე წვდომისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული კუთხით დოქტორანტებს პრობლემა არ ექნებოდათ, რადგან სივრცე დახურული არ იყო იმ დონეზე, რომ გამხდარიყო დაბრკოლება.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში იყო ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც დაფინანსება ხდებოდა ცენტრალური ბიუჯეტიდან. ცხადია, წინასწარ ვერ იქნებოდა განსაზღვრული თუ რა თანხის ოდენობა იქნებოდა საჭირო კვლევისათვის. მან იკითხა, იყო თუ არა მზად დაწესებულება გამოეყო რელევანტური სახსრები, რომლითაც დოქტორანტი კვლევის სრულყოფას შეძლებდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება აღნიშნულისათვის მზად იყო და ამასთანავე დაფინანსების მიღება შესაძლებელი იყო გრანტების ფარგლებშიც.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში ყოველკვირეული აქტიურობა ფასდებოდა. მან იკითხა, რამდენად რელევანტური იყო აქტიურობის შეფასება სადოქტორო საფეხურისათვის და რა კრიტერიუმებით ფასდებოდა აღნიშნული, რა იყო ის სამუშაო რომელიც ამ შემთხვევაში შეფასდებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აქტიურობაში იგულისხმებოდა მაგალითისათვის დისკუსიებში მონაწილეობა, რაც საბოლოო ჯამში ჯამდებოდა ყველა სხვა კრიტერიუმთან ერთად.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, ყოველკვირეული შეფასების დროს რა კრიტერიუმებით ხორციელდებოდა შეფასება და აქცენტი კეთდებოდა სასწავლო კომპონენტის თეორიულ თუ პრაქტიკულ შემადგენელზე

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აქცენტი კეთდებოდა ორივე ნაწილზე, ეს გამოწვეული იყო საერთო შიდა რეგულაციიდან, თუმცა ლექტორებს თავისუფლება ჰქონდათ შეეფასებინათ სტუდენტები იმ კუთხით რითაც საჭიროდ ჩათვლიდნენ, ამიტომ ამასთან დაკავშირებით შერეული მიდგომა არსებობდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ დასკვნაში არსებობდა შენიშვნა ლიტერატურის შესახებ. ლიტერატურაში იკვეთებოდა ერთფეროვნება და თუ ეს იყო არარუსული წყარო, ნათარგმნი იყო კონკრეტულ პერიოდამდე. ძირითადად ლიტერატურა 90-იან წლებამდე იყო გამოცემული. ძირითადი ლიტერატურის ნაწილი ფიქსირებული იყო კონკრეტულ პერიოდში და ძირითადად რუსულენოვანი. ის დაინტერესდა რით იყო აღნიშნული გამოწვეული, ხდებოდა თუ არა ეს იმის გამო რომ ახალი წყაროების შემუშავება არ ხდებოდა და დარგში ლიტერატურა აღარ ვითარდებოდა. ამასთანავე, იყო თუ არა ეს წყაროები ფასეულობით იმდენად ძვირფასი, რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურა ვერ აჭარბებდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს წყაროები ფასეულობით მნიშვნელოვანი იყო. მაგალითისათვის კლასიკურ ლიტერატურად ითვლებოდა აშკროპტის სახელმძღვანელო, რომლის ახალი ვერსიაც დაწესებულების წარმომადგენლებმა ვერ მოიძიეს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს ახალი ვერსია არსებობდა და ამავროულად ინგლისურ ენაზე.

საბჭოს წევრი, ლევან გორდეზიანი დაინტერესდა მოცემულ დარგში სადოქტორო საფეხურზე აუცილებელი იყო თუ არა სახელმძღვანელოებით სწავლება.

ექსპერტმა განაცხადა რომ სახელმძღვანელოები საჭირო იყო, ვინაიდან მასში გადმოცემული იყო ზუსტი ინფორმაცია დარგთან დაკავშირებით. მაგალითისათვის აშკროპტში ძალიან ძნელად მოიძებნებოდა შეცდომა, რადგან ყოველი ახალი გამოცემის დროს იხვეწებოდა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განსჯისთვის სურდა დაეყენებინა შემდგომი საკითხი. ჩნდებოდა განცდა რომ არაფორმალურად აკრედიტაციის მამიებელს

წარმოადგენდა ინსტიტუტი, რადგან ძირითადი მუშაობა ხორციელდებოდა მის ბაზაზე. ექვსის შეტანა არ ხდებოდა არც ინსტიტუტის ტრადიციაში და არც იქ მომუშავე მეცნიერების პროფესიონალიზმში. პროგრამა იურიდიულად ეკუთვნოდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს. პროგრამის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი იყო 2 კომპონენტი - აკადემიური პერსონალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ შემთხვევაში აკადემიური პერსონალი იყო ინსტიტუტის პერსონალი და ბაზაც შედიოდა ინსტიტუტის და არა სოხუმის უნივერსიტეტის მფლობელობაში. მაგალითისათვის თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი შეთანხმებას გააფორმებდა რომელიმე ნაკლებად ცნობილი უნივერსიტეტის ანალოგიურ ფაკულტეტთან, რომელსაც არ ეყოლებოდა არც პერსონალი და არც ლიტერატურა და აშ., ამ უნივერსიტეტს შეეძლებოდა გაეკეთებინა პროგრამა, რომელსაც შეიტანდა აკრედიტაციისათვის და იტყოდა რომ პროგრამა განხორციელდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საბჭოს თავმჯდომარის მიერ აღწერილ სქემაში საქმე ეხებოდა ორ უნივერსიტეტს, რომლებსაც შეეძლებოდათ კვალიფიკაციის მინიჭება. აღნიშნულ სქემაში ერთი იყო ინსტიტუტი, რომელიც კვალიფიკაციას ვერ მიაწიჭებდა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ანალოგიურის თქმა სურდა და დაასახელა მაქსპლანკის მოდელი, რომლის ფარგლებშიც კვალიფიკაცია გაიცემოდა მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ რადგან ინსტიტუტი იყო კვლევითი და არა სასწავლო დაწესებულება. მან აღნიშნა, რომ მსჯელობის დროს საჭირო იყო დიფერენცირება, საჭიროებიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ მოცემული სქემა იყო კარგი. ადრინდელი პრაქტიკით კანდიდატები ნაშრომებს იცავდნენ ინსტიტუტებში. მას შემდეგ რაც დაასრულებდნენ უნივერსიტეტს იღებდნენ მაძიებლობას და ერთვებოდნენ კვლევაში, რაც მათ პროფესიონალებად აყალიბებდა. ცვლილებების შემდგომ დადგინდა რომ ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს მხოლოდ აკადემიური პერსონალი და ის ადამიანები რომლებიც კანდიდატებთან ერთად მუშაობდნენ პრაქტიკულად აღმოჩნდნენ პროცესის გარეთ, რამაც უხერხულობა გამოიწვია. მოცემული სქემა აღნიშნულ უხერხულობას ამცირებდა.

ექსპერტმა განაცხადა რომ მცემულ შემთხვევაში მაქსპლანკი კარგი მაგალითი ვერ იქნებოდა, რადგან სქემა აწყობილი იყო ფრაუნჰოფერის ანალოგზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მან მხოლოდ იურიდიული პარადიგმის დემონსტრირება მოახდინა.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მოსაზრებით აღნიშნული იყო წარმატებული პრინციპი, რადგან დოქტორანტებს შეხება ჰქონდათ როგორც უნივერსიტეტის ასევე ინსტიტუტის თანამშრომლებთან.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც რომ სახელმწიფოსგან კვლევების დაფინანსების არარსებობის პირობებში დელტას დაფინანსება ხელისშემწყობ პირობად ვლინდებოდა.

17:56 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:10 საათზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მყარი სხეულების ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მყარი სხეულების ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია ენიჭებოდა 1 წლიანი მონიტორინგის პირობით, რაც იმას გულისხმობდა, რომ ცენტრს 1 წლის განმავლობაში მონიტორინგის გზით უნდა გადაემოწმებინა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწეული რეკომენდაციების გაზიარების საკითხი.

2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ისტორია
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის დოქტორი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვინაიდან საბჭო დეტალურად იცნობდა დასკვნას, ისაუბრებდა ძირითად რეკომენდაციებთან დაკავშირებით. რეკომენდირებული იყო, გაზრდილიყო არჩევითი საგნების რაოდენობა. რადგან კურსი - სწავლების თანამედროვე მეთოდები არ პასუხობდა სათანადო გათვალისწინებულ შინაარსს, საჭირო იყო ცვლილება შესულიყო ან სათანადო ან შინაარსში და ამის შედეგად აქცენტირება მომხდარიყო სწავლების თანამედროვე მეთოდებზე. ამასთანავე საჭირო იყო გადამუშავებულიყო საგნის „აკადემიური წერა“ სილაბუსი, კვლევის მეთოდების კომპონენტებით და მოსულიყო შესაბამისობაში დოქტორანტურის საფეხურთან. საჭიროებას წარმოადგენდა კურსის სილაბუსში „საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები XIX-XXI საუკუნეების დამდეგი ისტორიოგრაფიულ ჭრილში“ განახლებულიყო ლიტერატურა. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მისაღებ გამოცდაზე აპლიკანტისათვის ინგლისური, ფრანგული ან გერმანული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნას, ნაცვლად რუსული ენის ცოდნის საფუძველზე მიღებისა. რეკომენდაციას წარმოადგენდა სავალდებულო გამხდარიყო მისაღებ გამოცდაზე საქართველოს ისტორიის ჩაბარება და სავალდებულო უნდა გამხდარიყო ასევე სამოტივაციო წერილის წარდგენა. რეკომენდირებული იყო შემდეგი სასწავლო კურსების გაერთიანება: საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები XIII-XVIII საუკუნეების

ისტორიოგრაფიულ ჭრილში და საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები XIX-XXI საუკუნეების ისტორიოგრაფიულ ჭრილში. ამასთანავე მათი წინაპირობა უნდა ყოფილიყო სასწავლო კურსი - საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები უძველესი დროიდან XIII საუკუნის დამდეგის ჩათვლით ისტორიოგრაფიულ ჭრილში. უნდა შეცვლილიყო შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე შეფასების ტესტური მეთოდი თხზულების ტიპის გამოცდით და სილაბუსებში საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე დანერგილიყო შეფასების განსხვავებული მეთოდები. ასევე აუცილებელი იყო პროგრამაში მუშაობის ინდივიდუალური საათების გაწერა, რაც გულისხმობდა სტუდენტებსა და პედაგოგებს, აკადემიურ პერსონალს თუ ნაშრომის ხელმძღვანელთან ინდივიდუალური მუშაობის საათების რაოდენობას, რომელსაც ისედაც ითვალისწინებდა სწავლების გრაფიკი.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრიორიტეტად ყოველთვის მიჩნეული იყო ისტორიისა და ქართული ფილოლოგიის მიმართულებები. იმ დროიდან, როდესაც წარმოადგენდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალს, მათ ჰქონდათ ასპირანტურა საქართველოს ისტორიაში, რომელიც წარმატებული იყო. მან ხაზი გაუსვა, რომ როდესაც ხდებოდა სადოქტორო პროგრამის შეფასება მნიშვნელოვანი იყო ყურადღება მიქცეოდა სადოქტორო ნაშრომებს. მათი ყველა კურსდამთავრებული წარმატებული იყო, რაც პროგრამაზე ბევრს ამბობდა. რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხებოდა აკადემიურ წერას და კვლევის მეთოდებთან დაკავშირებულ საკითხს, მისი კოლეგები ისაუბრებდნენ, თუმცა მას შეეძლო აკადემიურ წერასთან დაკავშირებით ეთქვა, რომ რეფერატები გათვალისწინებული იყო ყველა კურსში, რაც დოქტორანტს აჩვენებდა კვლევითი სეგმენტის წარმოდგენას. თავდაპირველად არსებობდა იდეა, რომ კურსი წაეყვანა დარგის სპეციალისტს, თუმცა დაწესებულება ამჟამინდელი პროფესორით კმაყოფილი იყო. დარგის დისციპლინებთან დაკავშირებით ყველაზე შესამჩნევ პრობლემას წარმოადგენდა ის რომ ადრე არსებობდა 3 სასწავლო სემესტრი და ისტორია დაყოფილი იყო სამ პერიოდად. 60 კრედიტზე გადასვლის შემდეგ შესაძლოა დაწესებულებას მართლაც შეეძლოა დაეშვა, ამიტომ სავსებით იზიარებდა ექსპერტთა რეკომენდაციას საგნების გაერთიანების შესახებ. სილაბუსებში მართლაც შესაძლებელი იყო გარკვეული ნაკლოვანებები, რადგან ეს იყო განახლებადი პროცესი. სილაბუსებში ცვლილებები მოხდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდეც, მაგალითად ბაკალავრიატის დონის სახელმძღვანელო ამოღებულ იქნა ლიტერატურიდან. არსებობდა ასევე მონოგრაფიაც რომლის შენარჩუნება დაწესებულებას მიზანშეწონილად მიაჩნდა. დაწესებულება ვალდებული იყო ცვლილებები შეეტანა ლიტერატურაში ახლადგამოსული მასალის დამატებით. თუ სილაბუსს რაიმე აკლდა, ეს მხოლოდ ტექნიკური პრობლემა იყო. ლიტერატურა იყო დიდი რაოდენობით, თუმცა ეს საჭიროებას წარმოადგენდა რადგან საქმე ეხებოდა სადოქტორო საფეხურს. მაგალითისათვის დაწესებულების წარმომადგენელმა დაასახელა მისივე საგანი - ისტორიოგრაფიული მდგომარეობა დარგში, რომელიც სამ პერიოდად იყო დაყოფილი და თქვა რომ აქ ლიტერატურა სავალდებულოდ და დამატებითად ვერ დაიყოფოდა, საჭირო იყო დოქტორანტს ყველა სცოდნოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით სასწავლო კრედიტები არ უნდა ყოფილიყო ჭარბად და აქცენტირება უნდა ყოფილიყო გაკეთებული კვლევაზე. დაწესებულებას სასწავლო კრედიტებში ჩართული ჰქონდა ის საგნები, სადაც ასწავლიდა ადგილობრივი და არა მოწვეული პერსონალი. მათ სურდათ სპეციალისტები მოემზადებინათ საკუთარი რესურსებით. მათ პრიორიტეტებს წარმოადგენდა

ისტორიოგრაფია და წყაროთმცდნეობა. ექსპერტების შეთავაზება მიღებისას საქართველოს ისტორიის გამოცდის ჩაბარებისა განპირობებული იყო იმით, რომ პროგრამაზე მიდიოდნენ სხვა პროფესიების მქონენი - იურისტები, ეკონომისტები და სხვა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, რა თემაზე მუშაობდნენ ეკონომისტები ისტორიაში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამჟამად დოქტორანტი ეკონომიკური განათლებით, რომელსაც კავშირი ჰქონდა სამხედრო სფეროსთან, მუშაობდა სამხედრო ისტორიაზე. ის აცხადებდა რომ დაინტერესებული იყო ისტორიით და დაწესებულებამ მას მისცა შანსი ემუშავა ინტერესის სფეროზე. ერთ-ერთი დოქტორანტი, რომელსაც ჰქონდა იურიდიული განათლება მუშაობდა აფხაზეთის სამართლებრივ სტატუსზე ისტორიულ ჭრილში. მან ხაზი გაუსვა, რომ მათი ერთ-ერთი დოქტორანტი რუმინეთში სწავლობდა ინგლისურად და რომ ამ ენის მცოდნე დოქტორანტები ჰყავდათ. ენასთან დაკავშირებული მოცემულობა განპირობებული იყო იმით, რომ კავკასიოლოგიის ენად კვლავაც რჩებოდა რუსული. დაწესებულება არ უარყოფდა ინგლისური ენის როლს. დოქტორანტებს შორის იყვნენ ინგლისურის და არამხოლოდ ინგლისურის მცოდნე დოქტორანტები, ერთ-ერთი მათგანი დიპლომატი იყო და ინგლისურ და რუსულ ენებთან ერთად თურქულსაც ფლობდა. ჩაბარებისას დოქტორანტს შეეძლო ჩაებარებინა ოთხიდან ერთი ენით, მაგრამ დასრულებისას ის ფაქტობრივად ვალდებული ხდებოდა სცოდნოდა ინგლისური B2 დონეზე. პროგრამას მსურველი ჰყავდა სოხუმიდან. მაშინ როდესაც რუსული მათ სააზროვნო ენას წარმოადგენდა რთული იქნებოდა ამის არ გათვალისწინება. ამასთანავე აღსანიშნავი იყო იდეა, შექმნილიყო კავკასიოლოგიის რუსულენოვანი პროგრამაც. რუსულის ამოლება შეუძლებელი იქნებოდა, მთავარი იყო აქცენტირება ინგლისურზე მომხდარიყო. ენების კონტექსტში უნდა აღნიშნულიყო, რომ აკადემიური პერსონალი ნაშრომებს სხვადასხვა ენაზე აქვეყნებდნენ. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ მათ თანხმობა ჰქონდათ ჩინელი პროფესორისაგან პროგრამაში მონაწილეობაზე. ერთ - ერთმა დოქტორანტმა ისწავლა ჩინური და ინტერესის სფეროს წარმოადგენდა რას ფიქრობდნენ ჩინეთში ქართულ თემატიკაზე. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ტესტურ მეთოდთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ის შედეგს არ წყვეტდა და ჯამდებოდა შუალედურთან და აქტივობასთან ერთად, შედიოდა ასევე თხზულების კომპონენტიც. 51 ქულას სტუდენტი მხოლოდ ტესტირების საფუძველზე ვერ დააგროვებდა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენდა აფხაზეთის კვლევების ცენტრს და ის, რომ ისტორიოგრაფიულ ჭრილში ომი მოგებული იყო წარმოადგენდა უნივერსიტეტის დამსახურებას. მან წარმოადგინა დოქტორის, კახა კვაშილავას წიგნი სამურზაყანოს შესახებ, აფხაზეთის ისტორიაზე და თქვა რომ იგეგმებოდა მეორე ნაწილის მომზადებაც.

წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ ეპიგრაფიკის მიმართულებით მოთხოვნა იყო მცირე. პროგრამა მას იყენებდა ინტერესის გასაღვივებლად, ცალკე გამოიყოფოდა აფხაზეთისა და ჯავახეთის ეპიგრაფიკა, სადაც მტკიცდებოდა რომ რეგიონები საქართველოს განუყოფელი ნაწილია. რაც შეეხებოდა რუსულ ენას, მისი დამატება მოხდა იმიტომ რომ იყო შემთხვევა აფხაზეთიდან სტუდენტის მიმართვის, თუმცა შესაბამისი, მისთვის ხელსაყრელი ენობრივი პირობის არ ქონის გამო მიღება ვერ მოხერხდა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მან ვერ მოისმინა დამაჯერებელი არგუმენტაცია მარტო რუსული ენის მოთხოვნის პირობებში თუ როგორ მომზადდებოდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი დოქტორი საქართველოს ისტორიაში. მართალი იყო კავკასიაში რუსული დომინანტ ენად რჩებოდა, თუმცა ისინი

უნდა გასულიყვნენ კავკასიის გარეთაც, სადაც ინგლისურის მოთხოვნა იყო. მან თქვა, რომ საეჭვო იყო მისაღებ გამოცდაზე ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნის არ არსებობის პირობებში სწავლის პროცესში კანდიდატი უცილობლად ასულიყო B2 დონეზე. გასაგები იყო იდეა, რომ რუსულის ცოდნა დადებითი მოვლენა იყო, მაგრამ ამის ფონზე არ უნდა მომხდარიყო მეტად საჭირო ინგლისური ენის უზუღვეზელყოფა.

წარმომადგენელმა დასვა რიტორიკული კითხვა, უნდა მიეცათ თუ არა 4 ენიდან არჩევის შესაძლებლობა, თუ მხოლოდ ინგლისური დაეტოვებინათ.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მისი კომენტარი გამომდინარეობდა იქიდან, რომ განსაკუთრებული აპელირება მოხდა რუსული ენის საჭიროებაზე.

წარმომადგენლის განცხადებით, ის რომ ინგლისური უპირატესი იყო აქსიომას წარმოადგენდა. 95% ისედაც ინგლისურ ენას აზარებდა.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა იკითხა სულ რამდენი დოქტორანტი ჰყავდა პროგრამას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას 10 დოქტორანტი ჰყავდა და რამოდენიმე მათგანს ინგლისურად სწავლის გამოცდილება ჰქონდა. დაწესებულებამ მოახდინა მხოლოდ ის რომ სამ არჩევით ენას - ინგლისური, ფრანგული, გერმანული, დაამარტა მეოთხე - რუსული და გაუგებარი იყო რატომ იყო ეს ცუდი.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ პრობლემას არ წარმოადგენდა რუსული ენის არსებობა არჩევით ენებს შორის, არამედ პოტენციური საფრთხე იმისა, რომ დოქტორანს შესაძლოა ისე დაესრულებინა სადოქტორო საფეხური, რომ ინგლისური საერთოდ არ სცოდნოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა რუსულის ჩაბარების შემთხვევაში აპლიკანტისათვის B2 დონის ინგლისურის სერტიფიკატი მოეთხოვათ.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ მისი კითხვა შეეხებოდა პროგრამის სამეცნიერო და სასწავლო კრედიტების განაწილებას. სამეცნიერო განყოფილებაში მითითებული იყო კოლოქვიუმი, რომელსაც გვერდით ეწერა რომ ის იყო სასწავლო. ის დაინტერესდა, რა იგულისხმებოდა ამაში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლოქვიუმი იყო კვლევითი.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა იკითხა, იყო თუ არა აღნიშნული ტექნიკური ხასიათის შეცდომა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ პროგრამაში ამოიკითხა, რომ 120 კრედიტი განსაზღვრული იყო კვლევითი კომპონენტისათვის, შემდეგ მითითებული იყო კოლოქვიუმი და პრეზენტაცია. პრეზენტაციის კომპონეტი ბადებდა გაურკვევლობას, იყო ეს მეთოდი სწავლების თუ სხვა დანიშნულება ჰქონდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგულისხმებოდა კოლოქვიუმის პრეზენტაცია, ხოლო კოლოქვიუმი წარმოადგენდა დისერტაციის რომელიმე ნაწილს.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ ბოლოს იყო მითითება სასწავლო კომპონენტებზე, რაც იწვევდა დაბნეულობას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო კომპონენტებში იგულისხმებოდა დარგობრივი კურსები და ერთი სემინარი.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ როგორც აღმოაჩინა, ეს იყო წინაპირობა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოლოქიუმი ვერ იქნებდა სასწავლო კომპონენტი, რადგან სასწავლო ნაწილი მხოლოდ პირველ და მეორე სემესტრებს მოიცავდა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ ასისტირებაზე გამოყოფილი იყო 3 კრედიტი. ის დაინტერესდა, რას გულისხმობდა სამეცნიერო ასისტირება თუ სწავლებაში ასისტირება, დოქტორანტი პროფესორს ეხმარებოდა კვლევაში, სწავლებაში, თუ ორივეში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო სასწავლო ასისტირება. ძლიერ სტუდენტს ისინი აძლევდნენ სემინარზე შესვლის საშუალებას. იმ შემთხვევაში თუ ის სხვა დაწესებულებაში მიწვეულ პერსონალს წარმოადგენდა, მას შეეძლო წარედგინა ცნობა და ის მოცემულ 3 კრედიტში ჩაეთვლებოდა.

საბჭოს წევრი, ნატო გენგიური დაინტერესდა, თუ ასისტირება წარმოადგენდა სასწავლო კომპონენტს, სად იყო გაწერილი მისი შინაარსის აღწერა, მიზნები და შედეგები, როგორ ხდებოდა მისი შეფასება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს მოცემული იყო სტანდარტში.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა უპასუხა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ თანდართულ დოკუმენტაციას სტანდარტი თან არ ახლდა.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ აღნიშნული დოკუმენტაცია ვიზიტის დროს შემოწმებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ექსპერტმა დაწესებულების განცხადება დაადასტურა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ რჩევის სახით განუცხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ საჭირო იყო სილაბუსებში გაწერილ შეფასების კრიტერიუმებს შეეფასებინა ის სწავლის შედეგი, რომელიც გაწერილი იყო სილაბუსით. არ უნდა ყოფილიყო ყვლაფრის უნიფიცირება და თხოვნა იყო აღნიშნულზე გამახვილებული ყოფილიყო ყურადღება, რადგან მოცემული სილაბუსებით რთული იყო იმის ამოცნობა ფასდებოდა თუ არა სწავლის ის შედეგი რომელსაც სილაბუსი ითვალისწინებდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ აზრს ისინი ნაწილობრივ იზიარებდნენ. მოცემული იყო 2 სემესტრი, ერთი ისტორიოგრაფიული, მეორე ზოგადი და მათ შორის განსხვავება იყო, თუმცა ძირითად საგნებში მეთოდოლოგია მეორედებოდა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ უპასუხა, რომ მეთოდოლოგია შესაძლოა ყოფილიყო ერთნაირი, თუმცა ყველა საგანს გააჩნდა სხვადასხვა სწავლის შედეგი, რომელიც საჭიროებდა ადეკვატურ შეფასებას.

19:15 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 19:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22 - მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს რეკომენდაციები:

- რეკომენდირებული იყო მეტი გამჭვირვალობისთვის გაწერილიყო და დოქტორანტებისთვისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო პროგრამის კომპონენტების „ასისტირება“ და „კოლოქვიუმი“ - ის მიზნები, შედეგები, მოთხოვნები, დოქტორანტის მიერ შესასრულებელი სამუშაოების სახეობები, შეფასების კრიტერიუმები და ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოაცხადა 19:40 საათზე.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული

სხდომის მდივანი

ნინო ჩანადირი

